ანოტაცია
ოქსიტეტრაციკლინის მალამო თვალის
Oxytetracycline hydrochloride

მალამო თვალის, გამოიყენება ყველა სახის ცხოველებისთვის

შემადგენლობა
მალამოს 1 გ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი 0,01 გ
აღწერა: მოყვითალო ან ყვითელი ფერის მალამო.შესაძლოა დაიყოს ფენებად.
ფარმაკოლოგიური თვისებები
პრეპარატი წარმოადგენს ადგილობრივი გამოყენების ანტიბიოტიკს. ოქსიტეტრაციკლინი ფართო სპექტრის ანტიბიოტიკია, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების, რიკეციების, ტრახომას და ორნიტოზის აღმძვრელების მიმართ. მისი ანტიბაქტერიული მოქმედების მექანიზმი ემყარება მიკრობული უჯრედების ცილის სინთეზის ინჰიბირებას, რიბოსომების დონეზე. ორგანიზმზზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით თვალის მალამო მიეკუთვნება ნაკლებ საშიშ ნივთიერებებს (მე-4 კლასი, სახ. სტანდ. 12.1.007-76 შესაბამისად)
გამოყენების ჩვენებები
პრეპარატი გამოიყენება ცხოველების თვალის ინფექციური დაავადებების: კონიუქტივიტის, ბლეფარიტის, ტრახომას, რქოვანას დაზიანებისა და სხვათა სამკურნალოდ.
გვერდითი მოვლენები
პრეპარატის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას გვერდით მოვლენები ან გართულებები როგორც წესი არ აღინიშნება.
უკუჩვენებები
პრეპარატის კომპონენტების მიმართ ცხოველების გაზრდილი ინდივიდუალური მგრძნობელობა.
ალერგიული რეაქციის გამოვლენის შემთხვევაში შეწყვიტეთ პრეპარატის გამოყენება, მოწმინდეთ მალამო კანის ზედაპირიდან მარლის ტამპონით და აუცილებლობის შემთხვევაში ცხოველს დაუნიშნეთ ანტიჰისტამინური საშუალებები და სიმპტომური თერაპია.
სამიზნე სახეობა: ყველა სახის ცხოველი
დოზირება სამიზნე სახეობებისთვის, გამოყენების მეთოდი
მალამოს უსმევენ თვალის შიდა მხარეს და გარეთა მხრიდან მსუბუქი მოძრაობით ანაწილებენ კონიუქტივის მთელ პარკზე. მალამო გამოიყენება ყოველდღიურად, 3-5 ჯერ დღეში, გამოჯანმრთელებამდე. მალამოს დოზა ერთ ცხოველზე შეადგენს 0,2გ-დან 0,4გ-მდე.
დაყოვნების პერიოდი: ნული დღე
სპეციალური მითითებები.
განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.
შენახვის პირობები

ინახება მშრალ, ბნელ ადგილას 15-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

გამოშვების ფორმა: 20 გ მალამო მოთავსებული პოლიეთილენის ტუბში ჰერმეტულად დახურული ფოლგითა და პოლიპროპილენის თეთრი ფერის თავსახურით

ფარმაკო-თერაპიული ჯგუფი: ინფექციის საწინააღმდეგო საშუალება, ანტიბიოტიკი ATCvet code: QS01AA04

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ.

მწარმოებელი: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის № 8